საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

შემოწმების აქტი №002748/შ

შედგენის თარიღი: 25.03.2022 წ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის", ,,შრომის ინსპექციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილების შესაბამისად, კერძოდ, 2021 წლის 8 ნოემბრის №002748 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და მასზე თანდართული №002748/ო მითითებით გათვალისწინებული დარღვევების გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტის შრომით უფლებებზე ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტების, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტების (უფროსი შრომის ინსპექტორები) [redacted] მიერ 2022 წლის 28 იანვარს განხორციელდა შემდეგი ორგანიზაციის განმეორებითი ინსპექტირება:

ობიექტის დასახელება: შპს ,,პინეო სამედიცინო ეკოსისტემა"
საიდენტიფიკაციო კოდი: 405064594
დირექტორი: გიორგი გიორგაძე
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქ.№93
შემოწმებული ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასლის ქ.№93

შპს ,,პინეო სამედიცინო ეკოსისტემის" მიმართ 2021 წლის 8 ნოემბერს გაიცა №002748 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და №002748/ო მითითება, რომლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ ორგანიზაციას განესაზღვრა 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა მითითების გამოსასწორებლად.

2022 წლის 28 იანვარს განხორციელებული რეინსპექტირების ფარგლებში, გამოთხოვილ იქნა შრომითი ხელშეკრულებები, შინაგანაწესი, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა, საგადახდო დავალებები და სხვა დოკუმენტაცია/ინფორმაცია, რომელიც აუცილებელი იყო კომპანიის მიერ განხორციელებული ცვლილებების სრულყოფილი შესწავლისათვის. ორგანიზაციამ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებები, შინაგანაწესი, ე.წ. ,,გრაფიკები'', ე.წ. ,,სახელფასო უწყისები" ექსელის ფორმატში და სხვა

დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. თუმცა კომპანიის წარმომადგენლების მიერ თავიდანვე გაკეთდა მითითება, რომ კლინიკას არ გაუთვალისწინებია საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული მითითებების უმეტესობა.

№	გაცემული მითითებები	შედეგი
1.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ზ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.	**არ შესრულდა**
2.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. თუ შრომითი ხელშეკრულება არ შეიცავს რომელიმე არსებით პირობას, ასეთი პირობის განსაზღვრა შესაძლებელია დასაქმებულის თანხმობით.	**არ შესრულდა**
3.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შრომითი ხელშეკრულების ვადა არის 1 წელი ან 1 წელზე მეტი, შრომითი ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით იდება მხოლოდ შემდეგი საფუძვლის არსებობისას: ა) შესასრულებელია კონკრეტული მოცულობის სამუშაო; ბ) შესასრულებელია სეზონური სამუშაო; გ) სამუშაოს მოცულობა დროებით იზრდება; დ) ხდება შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლება; ე) შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ შრომის ანაზღაურების სუბსიდირებას; ვ) არსებობს სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების განსაზღვრული ვადით დადებას.	**შესრულდა**

4.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი** შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობებია: ვ) შრომის ანაზღაურება (მიეთითება ხელფასი, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – დანამატი) და მისი გადახდის წესი.	**არ შესრულდა**
5.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტი** შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლებია: ა) გაფიცვა;ბ) ლოკაუტი; გ) აქტიური საარჩევნო უფლების ან/და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელება; დ) საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო, პროკურატურის ან სასამართლო ორგანოში გამოცხადება; ე) სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა; ვ) სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევა; ზ) შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, შვებულება ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო, დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო; თ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში ან/და კრიზისულ ცენტრში მოთავსება, თუ იგი ვეღარ ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას, მაგრამ წელიწადში არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა; ი) დროებითი შრომისუუნაროობა, თუ მისი ვადა არ აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა არ აღემატება 60 კალენდარულ დღეს; კ) კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიული გადამზადება ან სწავლა, რომლის ხანგრძლივობაც წელიწადში 30 კალენდარულ დღეს არ უნდა აღემატებოდეს; ლ) ანაზღაურებისგარეშე შვებულება; მ) ანაზღაურებადი შვებულება.	**არ შესრულდა**
6.	**დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი" 41-ე მუხლის პირველი პუნქტი** შრომის ანაზღაურება არის ძირითადი ან მინიმალური ანაზღაურება ან ხელფასი ან ნებისმიერი სხვა ანაზღაურება, რომელიც გადახდილია ფულადი ფორმით ან ნატურით და რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ იღებს დასაქმებული დამსაქმებლისგან სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ.	**არ შესრულდა**

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, პირადი ნომერი):

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი პირის მიერ შემოწმების ჩაბარებაზე უარის აღნიშვნა:

უფლებამოსილი პირ(ები)ი:

[redacted]

სამართალდამრღვევი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი: